21.03.2023

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შპს „ნექსარას" საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 55.12.69.000.179; 55.12.69.000.180; 55.12.69.000.038), რომლებიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული, გააჩნია კაკლის ბაღი, რომელიც უზრუნველყოფილია ნვეთოვანი სარწყავი სისტემით და წყლის სამარაგო რეზერვუარით. აღნიშნული ბაღი და სარწყავი სისტემა კომპანიამ მოეწყო 2017 წელს. როგორც მოგეხსენებათ, იმ დროისთვის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ საჭიროებდა რაიმე პროცედურის გავლას და გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას. ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია 10 კვ სიმძლავრის მქონე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ასევე არ საჭიროებდა გარემოსდაცვითი პროცედურის გავლას და გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას.

ამ ეტაპზე, კომპანია გეგმავს, კაკლის ბაღი გააშენოს დამატებით 20 ჰა ფართობის ტერიტორიაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებული კაკლის ბაღი ირწყვება შპს „საქართველოს მელიორაციის" საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით, რომელიც სექტემბერი-აპრილის თვეებში წყვეტს აქტივობას ან ეასიათდება ძალიან შეზღუდული აქტივობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული სარწყავი სისტემა და სამარაგო რეზერვუარი ვერ უზრუნველყოფენ კაკლის ბაღების სათანადოდ მორწყვას. შესაბამისად, კომპანია გეგმავს, რომ იმ პერიოდში როდესაც არხის აქტივობა შეზღუდული ან შეწყვეტილი იქნება ბაღების მოსარწყავად საჭირო წყალაღება განახორციელოს მდინარე იორიდან. მდინარიდან ამოღებული წყლის დასაგროვებლად დაგეგმილია, დამატებით ორი რეზერვუარის მოწყობა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-II დანართის, პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, სკრინინგის ანგარიშის მომზადებას ექვემდებარება სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია. ამავე კოდექსის პირველი დანართის 21-ე პუნქტის შესაბამისად, სკოპინგის პროცედურას ექვემდებარება ,,კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან

გარემოს ეროვნული სააგენტო
29. 03 2023
№ 2677

მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 m^3-ზე მეტია.

პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლისა და თქვენი 2023 წლის 15 მარტის N 21/1764 წერილით მოთხოვნილი პირობების შესაბამისად მომზადებულ იქნა სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი -სკოპინგის ანგარიში 1 ეგზ;

სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია;

რეზერვუარების სქემები;

Shp ფაილები.

პატივისცემით,

შპს „ნექსარას" დირექტორი

დარიო ჯეიმს მუნდჰენკე